№ 33

პარასკევი, 13 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 8 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 9 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 33

პარასკევი, 13 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 17 თებერვალს.**


## ქართული თეატრი

საყველიერო რეპერტუარი

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პარასკევს, 13 თებერვალს,

## და-ძმა

დრამა 5 მოქმედ. და 6 სურათ. ვ. გუნიასი

შაბათს, 14 თებერვალს

## თამარ ბატონიშვილი

ისტორ. დრამა, 5 მოქმედ. კ. მესხისა

კვირას, 15 თებერვალს

უკანასკნელი წარმოდგენა

## სამშობლო

დრამა 5 მოქმ. და 7 სურათ. თავ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი.



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ

**ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის**

## შულცე-ბენაოსაისსს.

ღიაა ყოველ-დღე გოლოვინის პროსპექტზედ, მირიმანოვის სახლის ორს სართულში

ჩამოვიდა დანარჩენი განყოფილებანიც ოდესისა და მოსკოვისა

(5—28—5) შესვლა ღირს 20 კაპ. დაწვრილებით აფიშებშია



**ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობისაგან**

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში 14 თებერვალს, 1898 წ. საღამოს 8 საათზედ დანიშნულია

## საზოგადო კრება

ქართველ თა ამხანაგობისა.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.

2. არჩევანი ამხანაგობის წარმომადგენლისა (გამგესი), ხაზინადარისა და მდივნისა.

უცხო პირნი კრებას ვერ დაესწრებიან. ამხანაგობის წევრთ კერძო ბარათები არ გაეგზავნებათ.

(3—6.—3)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ბ. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ზუღინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)


## ახალი ამბავი

*** შაბათს, 14 თებერვალს, ბაქოში გამართული იქმნება ქართული საღამო. ამ საღამოსათვის მიწვეულნი არიან: ვ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა და ივ. მჭედლიშვილი. წარმოადგენენ ორ-მოქმედებიანს კომ.: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. მიწვეულია აგრეთვე ბ-ნ კავსაძის ხოროც.

*** ოთხშაბათს, 11 თებერვალს, ქართულ სცენაზედ მ. საფაროვი-აბაშიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს მელოდრამა „ორი ობოლი“. ეს პიესა მრავალჯერ წარმოუდგენიათ ჩვენს სცენაზედ და არ მიგვაჩნია ისეთს განძად, რომ ნიჭიერ არტისტ-ქალს უკეთესი ვერა მოეძებნა რა თავისს ბენეფისში წარმოსადგენად. პიესას ამ ხელად იგივე არტისტები თამაშობდნენ, რომლებსაც წინადაც არა ერთხელ უთამაშნიათ. მცირეოდენი ინტერესი მისცა პიესას ივ. მჭედლიშვილმა, რომელიც პირველად თამაშობდა პიერის როლს და თავისებურის ელფერითაც ითამაშა. ხალხით თეატრი სავსე იყო, ტაშის ცემას და „ბრავო“-ს ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. მეტად უკადრისად იქცეოდა „ქანდარა“, რომლიდგანაც შეუსაბამო სიტყვები მოისმოდა.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის ალმასრულებელმა გენ.—მ. ი. ვ. საგინაშვილმა მაზრების წინამძღოლთ დაუგზავნა ოც-ოცი დაბეჭდილი ცალი იმ მოხსენებისა, რომელიც სათავად-აზნაურო კომისიამ შეიმუშავა ტფილისის გუბერნიაში საერობო დაწესებულების შემოღების შესახებ. ამასთანავე გუბერნიის თავა-აზნაურობის წინამძღოლის თა· [illegible] მაზრის წინამძღოლთ, რომ კარგი იქმნება საგანგებო კრებები გაჰმართოთ ამ საქმის შესახებ და 15 აპრილს წარმომიდგინოთ ყველა ის, რასაც გადასწყვეტს კრება, რომ აპრილის გასულს და ან მაისის დამდეგს შემეძლოს საგუბერნიო საგანგებო კრება გავმართო ამ საგნის შესახებვე მოსალაპარაკებლადაო.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა დანიშნოს იმ დეპუტატების არჩევანები, რომელთაც ქალაქის სასარგებლოდ საქციზო გარდასახადი უნდა გასწერონ, სახელდობრ 18 თებერვალს მედუქნეთა, მეტრაქტირეთა და სირაჯთა დეპუტატისა, 19 თებერვალს—მეხაშეთა და სანოვაგით მოვაჭრეთა და 20 თებერვალს,—ბაკისა და ღამის გასათევთა პატრონებისა.

*** რაკი ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ნ. ტ. ჟილამ, ქალაქის მოურავად არჩევისა გამო, თავი დაანება სამსახურს, ამიტომ სასამართლოს თავმჯდომარედ კ. პ. კოლბასინს ასახელებენ, რომელიც ტფილისის სასამართლო პალატის წევრადაა.

*** კვირას, 15 თებერვალს, ავჭალის იაფ ფასიან სასადილოს დარბაზში გამართულ იქმნება ქართული წარმოდგენა. ითამაშებენ თავ. რაფ. ერისთავის მიერ გადმოკეთებულ პიესას „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ი. ვ. მაჩაბლის ვოდევილს „ადვოკატი მელაძე“. ადგილების ფასი 5 კაპ.

*** ბ-ნმა გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული ნიხრი ძროხისა და ცხვრის ხორცისა, რომელმაც მოქმედება დაიწყო 12 თებერვლიდგან. ამ ნიხრით გირვანქა ძროხის ხორცი ჰღირს 8 კაპ., ცხვრისა 9 კაპ. და სუკი 12 კაპ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ, რომ პატარა ჩამოთვლებ თუ არა, თიანეთ-ანანურის გზის გაყვანის საქმეს მიჰყობენ ხელსაო. გზა ადგილობრივის მცხოვრებლების ხარჯით უნდა გაიყვანონ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ დანიშნულ იქმნენ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად პოლკოვნიკი გორსკი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი და თავ. ამირაჯიბი—ტფილისისა.

*** გაზ. „ნოვ. ვრ.“ სწერს, რომ წელს გაზაფხულს რამდენიმე ამერიკელი მეცნიერი მოვა რუსეთში და მხოლოდ ყირიმის ნახევარ კუნძულსა და კავკასიაში იმოგზაურებენო.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ა. კ. ფონ-რეზონი უმართებულესის სენატის ობერ-პროკურორის ამხანაგად იქმნა დანიშნულიო. [illegible] თავმჯდომარის თანამდებობაზედ აქ ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრს ა. პ. ფრანცოვს ასახელებენ, რომელიც წევრის თანამდებობას 1873 წლიდგან ასრულებს.

*** ქიზიყის საზოგადო დეპო გვთხოვს გამოვაცხადოთ ქიზიყელ მევენახეთა და მხვნელ-მთესველთა საყურადღებოდ შემდეგი: საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საუკეთესო ღირსების შაბიამანი გაისყიდება დეპოში ფუთი 3 მ. 60 კ., გაისყიდება დეპოშივე მარსელის გოგირდი და სხვა-და-სხვა ქარხნის გუთნები იმ ფასად, რა ფასადაც თითოობით ისყიდება ტფილისში კ. კრაუზესა და აუფერმანის საწყობებში.

*** ოთხშაბათს, 11 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ძველის ტანისამოსით 30 მოვაჭრის საჩივარი. მომრიგებელმა სასამართლომ თითო ამ ვაჭართაგანს 30 მან. ჯარიმა მიუსაჯა და იმათთვის სავალდებულოდ იცნო, რომ ყოველგვარი ძველი ტანისამოსი, ვიდრე გასასყიდად გაიტანენ, სადეზინფექციო კამერაში უნდა იქმნას წარდგენილიო. ოლქის სასამართლომ არ შეიწყნარა საჩივარი ვაჭრებისა და დაამტკიცა მომრიგებელ სასამართლოს განაჩენი.

*** იმ დღიდგან, რაც ქალაქის პირველი უფასო ღამის გასათევი იქმნა დაარსებული, სახელდობრ, წარსულის წლის 29 დეკემბრიდგან 9 თებერვლამდის თავშესაფარში ღამე გაათია 3915 კაცმა. 3804 მამაკაცმა და 111 დედაკაცმა. ეროვნობით ასე განაწილდებიან: რუსმა—2375 მამაკაცმა და 54 დედაკაცმა, სომეხმა—1249 მამაკაცმა და 4 დედაკაცმა, ქართველმა—125 მამაკაცმა და 53 დედაკაცმა. სპარსელმა—36 კაცმა, ლეკმა—15 კაცმა, გერმანელმა—3 კაცმა და ბერძენმა 1— კაცმა.

## წერილი ქუთაისიდგან.

8 თებერვალი.

კვირას, 8 თებერვალს, აქაურს საეპარქიო საქალებო სასწავლებელში, რომელიც დაარსებულია აწ განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზედ, გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო დილა, რომელმაც იქ დამსწრე საზოგადოება დიდად ასიამოვნა. მოზრდილი საკლასო ოთახი საზოგადოებით ისე იყო გატენილი, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. საზოგადოების წინ გამართული იყო პატარა ესტრადა, რომლის აქეთ-იქით იდგნენ მოსწავლე ქალების ხოროები. ესტრადაზედ თამამად ადიოდნენ პატარა მოსწავლე ქალები და თამამად კითხულობდნენ რუსულსა და ქართულს ლექსებსა და იგავ-არაკებს, ხოლო ხორო ჰგალობდა სხვა-და-სხვა საგალობელს. იმისდა მიუხედავად, რომ სასწავლებელი ჯერ სულ ნორჩია (ოთხი-ხუთი წელიწადია, რაც არსებობს), მოსწავლე ქალები სრულის შეგნებითა და გრძნობით კითხულობდნენ ლექსებს და მწყობრად და სასიამოვნოდ გალობდნენ როგორც სასულიერო საგალობლებს, ისე საეაკაკის ლექსის „სიზმარი“-ს კითხვა-გალობა: პირველი ნახევარი ამ ლექსისა წაიკითხა ხუნდაძის ქალმა, ხოლო მეორე ნახევარი, სახელდობრ აქედგან:

„დედაო ღვთისავ, შენი მხვედრია
ეს საქართველო დიდ-ჭირ-ნახული,...“

იგალობა სამმა მოსწავლე ქალმა. ეს საგალობელი ისეთის ვედრებისა და თან ნაზის კილოთი იგალობეს, რომ ძალა უნებურად ცრემლი მოგვრეოდათ. საუცხოვოდ წაიკითხა რუსულად კრილოვის იგავ-არაკი „ГУСИ“ მეორე კლასის მოსწავლემ ჯუღელის ქალმა; ასეთივე შნოიანად წაკითხულ იქმნა რუსული ლექსი „ЛѢСНОЙ ЦАРЬ“ ნ. კალანდარიშვილის ქალის მიერ; სულ პატარა ქალებიც-კი მოსამზადებელის კლასისა სასიამოვნო სანახავნი იყვნენ თავისის გაბედულის და აზრიანის კითხვით. ეს ჩჩვილი ყრმანი ისე თამამად გამოდიოდნენ საზოგადოების წინაშე, თითქო თავისს საკუთარის მშობლების წინ გამოდიანო. სახელი და დიდება ამ სასწავლებლის უფროსებს და მასწავლებლებს, რომელთაც ცხადად ეტყობათ ჭეშმარიტი მშობლიური დამოკიდებულება მოსწავლეებთან და დაუღალავი ბეჯითობა მათდამი მინდობილის საქმისა. თუ ასეთის ბეჯითობით და სიყვარულით განაგრძობენ ამ სასწავლებლის წინსვლას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დიდს სამსახურს გაუწევს დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებას. ამ ხანად სასწავლებელში სწავლობს ას ორმოც-და-ათამდის მოსწავლე; ეს რიცხვი ერთი-ორად გადიდდება, როცა სასწავლებელი სრულს თავისს სახეს მიიღებს და

დამთავრდება. წლიური ხარჯი რვაას თუმნამდისაა. სასწავლებელს თავისი საკუთარი შენობა და ეკკლესია აქვს, რომელნიც შესწირა სამღვდელოებას რუსის ნემამულე სტრუიცკიმ.

—

დღეს აქაურს თეატრში იყო ბენეფისი ქუთაისის საზოგადოების საყვარელის არტისტის ალექსი-მესხიშვილისა. საზოგადოება აუარებელი დაესწრო. მობენეფისემ ჩვეულებრივ საუცხოვოდ ითამაშა რიჩარდ მესამის როლი და მრავალი საჩუქარიც მიიღო.

მ—ი

## წერილი პარიჟიდგან

### ემილ ზოლა სასამართლოს წინაშე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

ვანკასელს უპასუხა ზოლას ვექილმა ლაბორიმ და „ავრორის“ ვექილმა კლემანსომ. ლაბორი ახალგაზდა ვექილია, დიდად მჭერმეტყველი, მხოლოდ ლაპარაკში მეტის-მეტი აღელვება ეტყობოდა.

ლაბორიმ სთქვა, რომ სამხედრო მინისტრს ნება აქვს, რაც უნდა საჩივარი შეიტანოს, მაგრამ მე მსურს გავანათლო დედა-აზრი ამ საჩივარისა. რომ გადვიკითხოთ ზოლას წერილი, ვნახავთ, რომ ზოლა ბრალსა სდებს არა მარტო პირველ სამხედრო სასამართლოს, არამედ ბევრს სხვებსაც, მაგრამ ბ-ნ მინისტრმა ხუთის დღის ფიქრის შემდეგ მარტო სამხედრო სასამართლოს სახელით აღძრა საჩივარიო. შემდეგ წაიკითხა ზოლას წერილი, რომელშიაც ისა სწერს პრეზიდენტს: „მე ბრალს ვდებ კოლონელ პატი-დე-კლამს, რადგან თავის გაიძვერაობით სამის წლის განმავლობაში აურ-დაურია საქმე. ბრალსა ვდებ გენერალ ბილიოს, სამხედრო მინისტრს, რომელსაც ხელთ ჰქონდა საბუთები დრეიფუსის სიმართლისა, მაგრამ აუქცია გზა სამართალს, აუქცია გზა კაცთ-მოყვარეობას და შეერია საპოლიტიკო ბრძოლაში, რომ დაიცვას სამხედრო წოდება“. ბრალსა ვდებ გენერალ მერსიეს, რომელმაც თავისის სულ-მოკლეობის გამო ჩაიდინა საშინელი უსამართლობა.. ბრალსა ვდებ გენერლებს ბუადეფრს, პელიეს, მე ბრალს ვდებ სამს ექსპერტს, რომლებმაც გადაათვალიერეს დრეიფუსის ხელთ-ნაწერი, ბრალსა ვდებ სამხედრო ბიუროს და დასასრულ ბრალსა ვდებ პირველ სამხედრო სასამართლოს, რადგან მან დაარღვია კანონი და დამალა რაღაცა საიდუმლო საბუთი... ბრალსა ვდებ მეორე სამხედრო სასამართლოს, რომელმაც არ მოინდომა საიდუმლოს ახსნა და გაამართლა დამნაშავე!.. შემდეგ ლაბორიმ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა რანაირად უყურებს სასამართლოს, ახსნა, რომ ბრალდებულს უნდა მიეცეს ნება ყოველს გარემოებას შეეხოს და არა ასე შეიზღუდოს იმისი უფლება, როგორც გვირჩევს ბ-ნი ვან-კასელი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რად გაამართლეს ბ-ნი ესტერგაზი და რად გაამტყუნეს ბ-ნი დრეიფუსი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ბორდეროს გარდა იყო კიდევ სხვა რამ საბუთი, თუ არა...

კლემანსომ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და გამოაცხადა, რომ შელახვა იქმნება ყოველ გვარის კანონისა, ყოველგვარ დედა-აზრისა, თუ ნება არ მოგვცეს თავისუფლად განსჯისა. ჩვენ გვსურს ყოველიფერი წარვადგინოთ სასამართლოს წინაშე.

ემილ ზოლას არა ულაპარაკნიარა. მარტო ესა სთქვა: „ყველაფერი ცხადად სჩანსო“.

ცოტას ხნობით სჯა შეწყვეტილ იქმნა და სასამართლოს წევრნი შევიდნენ ოთახში და სასამართლომ დაადგინა, რომ 1881 წლის 29 ივლისის მე-35-ს და 52-ს მუხლის კანონის ძალით, სჯა უნდა იყოს მხოლოდ იმის შესახებ, რაც აღნიშნულია სამხედრო მინისტრის საჩივარშიო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა სია მოწმებისა. პირველს სხდომაზედ მოწმეთა უმეტესობამ გამოგზავნა წერილები, რომ არ შეგვიძლიან მოსვლა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და ასეთის განცხადებას დართული ჰქონდა მკურნალთა მოწმობანი.

სამხედრო მინისტრი გენერალი ბილიო არ მოვიდა, რადგან ნება არა აქვს მოსვლისა კანონის ძალით, თუ სასჯულო საქმეთა მინისტრმა ამის შესახებ განსაკუთრებული დეკრეტი არ გამოსცა. მინისტრს-კი არ უნდომებია ამის შესრულება.

არ მოვიდნენ პირველს დღეს: კაზიმირ პერიე, ძველი პრეზიდენტი, გენერალი მერსიე, გენერლები ლიუკსე, პრესანსე, ორმენსონ, ჟებერ, კოლონელები რამელ, ფრედერი, პასსი, რავარი, პატი-დე-კლამ. ქ-ნი ბულანსი და ქ-ნი კომენჟ. ზოგი იწერებოდა, რომ არა აქვს რა სათქმელი.

ზოლას ვექილმა სთქვა, რომ გაგზავნილ იქმნენ ექსპერტი-ექიმები მოწმებთან და მოიწვიონ ის მოწმენი, რომელთაც სამსახურის გამო არ შეეძლოთ დასწრება.

სასამართლომ ეს წინადადება შეიწყნარა.

მეორე დღეს ყველა გენერლები მოვიდნენ, ზოგიერთი საერო ტანისამოსით იყვნენ. ექიმებმა სთქვეს, რომ ქ-ნნი ბულანსი და კომენჟ მართლა ავად არიანო.

მთელი ხუთი დღე სასამართლო მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას მოუნდა.

პირველ მოწმედ დაასახელეს მადამ დრეიფუსი. ხალხში ალიაქოთი შეიქმნა. ყველა ჰყვიროდა „დაჯექით“, რადგან ბევრი ფეხზედ დგებოდა. წინ წამოდგა სულ მთლად შავებში ჩაცმული, მოხდენილი ახალგაზდა ქალი.

— რა გნებავთ ჰკითხოთ, უთხრა თავმჯდომარემ ლაბორის.

ლაბორი. როგორ შეიტყეთ თქვენის ქმრის შეპყრობა? რა აზრისანი ხართ ზოლას პატიოსნების შესახებ.

სასამართლოს თავმჯდომარე. მაშინვე აჩერებს ლაბორის: მაგისი კითხვა არ შეიძლება, რადგან ეგ არ შეეხება არც პირველ სამხედრო სასამართლოს და არც ესტერგაზის საქმეს დრეიფუსის საქმის შეხება შეუძლებელია“.

ზოლა. (წამოდგება) როგორ! მე მსჯიან ქუჩაში, ყოველ დღეს შეურაცხმყოფენ, ჟურნალ-გაზეთობა მოღალატეს, გამცემს მეძახის და მე-კი არ შემიძლიან დავიცვა ჩემი პატიოსნება?

თავმჯდომარე. კანონი, რომელიც თქვენ კარგად იცით, არ გაძლევთ ნებას ამის კითხვისას.

ზოლა. არა მსურს ამ წამს ვიცოდე ეგ კანონი და არც ვიცი“.

ლაბორი მოკლე სიტყვის შემდეგ წარუდგენს თავისს აზრს, რომელშიაც მოთავსებულია 15 საკითხი ქ-ნ დრეიფუსის მიმართ.

ზოლა. (წამოდგება) მე არა ვარ ორატორი, მე მწერალი ვარ და ამიტომ შესაძლებელია ისეთი სიტყვა ვთქვა, რომელიც კარგად არ აღნიშნავდეს ჩემს აზრს. ვემორჩილები კანონს, ვუცდი იმისს სამართალს. ჩემს თავს კანონზედ მაღლა არ ვაყენებ, მაგრამ იმათ-კი არ დავებრიყვები, რომელთაც ჰსურთ პირი შემიკრან.

ლაბორი. „ბრავოო!“ და მაშინვე მოითხოვა ბოდიში, რადგან ეგ „ჩემდა უნებური იყოო“, სთქვა. სასამართლომ არ შეიწყნარა ლაბორის აზრი, რომლითაც სთხოვდა 15 ჯერ შეჰკითხებოდა დრეიფუსის ცოლს. ქ-ნი დრეიფუსი მაშინვე გავიდა.

მოიწვიეს მოწმე შერერ-კესტნერი. ისევ ალიაქოთი შეიქმნა ხალხში.

თავმჯდომარე. გთხოვთ არ შეეხოთ დრეიფუსის საქმეს, მარტო ესტერგაზის საქმის შესახებ ილაპარაკეთ.

შერერ-კესტნერი. მე გავიგონე ახალშენელ პიკარისაგან, რომელსაც უნახავს ექსპერტი ბერტილონი. იმან მითხრა, რომ ბორდერო ძალიან წააგავს ესტერგაზის ნაწერს და ამისათვის პიკარს უთხოვნია თავისის უფროსის გენერალ გონზისათვის, ხელმეორედ გადაეთვალიერებინათ დრეიფუსის ნაწერი, მაგრამ გენერალი არ დათანხმებულიყო. აი, ის წერილები, სთქვა შერერ-კესტნერმა, რომელიც მიუწერია გენერალ გონზს.

თავმჯდომარე. ნებას წერილების წაკითხვისას ვერ მოგცემთ. თქვენ შეგიძლიანთ შინაარსი განმარტოთ, რადგან პიკარი და გონზი აქ არიან.

შერერ-კესტნერმა სიტყვით გადასცა შინაარსი ამ წერილებისა. პიკარი სწერს გონს, დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი არ არის დამნაშავე და ამისთვის მსურს მოვძებნო საბუთები. მინდა, რომ დრეიფუსის საქმე თვით მთავრობამ გადაათვალიეროს და არა სხვებმა აღძრან ეგ საგანი. გენერალი გონზი უპასუხებს, რომ კარგი იქმნება მოსძებნოთ დამნაშავეო. შემდეგ შერერ-კესტნერმა განმარტა, რომ მე მივმართე სამხედრო მინისტრს ბილიოს, და ვთხოვე ეჩვენებინა დასამტკიცებელი საბუთები დრეიფუსის დანაშაულობისა, ან თვით ეკისრნა ამ საქმის დაბოლოვება, რადგან სჯობია, რომ მეთაურობა ამ საქმისა თვით უმაღლესმა მთავრობამ გასწიოს და არა ხალხმა-მეთქი. მინისტრმა მიპასუხა „დრეიფუსი დამნაშავეაო“. მე მაინც დავუცადე 15 დღეს, იქნება პასუხი მიმეღო რამე, მაგრამ არაფერი არ მიპასუხეს.

ზოლა. მოხარული ვარ, რომ გავიგონე როგორც მიჰმართა შერერ-კესტნერმა ბილიოს, სთხოვა კვლავ განეხილა საქმე და ამისი უარი უთხრეს, რომ ეს აღელვება და შფოთი ჩამოეგდოთ.

ე.-წ. ლებლუა. (ვექილია და შერერ-კესტნერსავით მომხრეა ზოლასი). დიდი ხანია ვიცნობ ახალშენელ პიკარს; პიკარმა მაჩვენა წერილები, რომელშიაც ემუქრებოდნენ; ვიცი, რომ მან დრეიფუსის საქმე დაწვრილებით შეისწავლა და იმას უდანაშაულოდა სთვლიდა. შემდეგ შევიტყე, რომ შერერ-კესტნერიც ამ აზრისა არის. შევხვდი ერთს სალამოს და

*) იხ. „ივერია“ № 32.

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

რად მინდა ზღვა და ხმელეთი,
ლურჯი ცა მთვარე-მზიანი,
რად მინდა ქვეყნის მშვენება,
მინდორი, მთანი ტყიანი,
რად მინდა სახელ-დიდება,
ცხოვრება დოვლათ-სვიანი,
თუ შენ არ მყევხარ, გულისა
სიცოცხლევ, ნათელ დღიანი!

დ. მაჩხანელი

## ყეინობა დუშეთის მაზრაში

(მოწერილი ამბავი)

ხევში საინტერესო ყეინობა იციან. აქაურ ყეინობაში ნათლად იხატება ხალხის შეხედულობა სახელმწიფოსა, კანონსა, სამართალსა და სასჯელზედ: ყეინობა ყველიერში იციან. ყველაზედ უფრო შესანიშნავი და მთელი ხევისათვის სათვალჩინო ყეინობა ს. სტეფანწმინდაში იმართება, რადგანაც ეს სოფელი ხევის ყველა სოფელზედ დიდია, ან, როგორც მოხევეები იტყვიან: „სტეფანწმინდა ხევის „გოროდიაო“. ყეინობა ყოველ წლივ არა სრულდება: თუ წელიწადმა რაიმე ზარალი მოუტანა სოფელს, ყეინობა არ შესრულდება და თუ წელიწადმა მშვიდობიანად გაიარა, ყველიერში ყეინს უეჭველად „შეჰკმაზენ“. რადგანაც წრევანდელმა წელმა *) მშვიდობიანათ გაიარა, ამისათვის ყეინის „შეკმაზის“ სურვილი ყველას მოუვიდა. ჯერ ისევ ყველიერის კვირამდის ხალხი შეიკრიბა ერობაში **), ხალხმა ამოირჩია ყეინი „ატუტანტი“, „პერევოდჩიკი“, ხაზინადარი, „პისერი“, ჯარებისა და ჟანდარმების უფროსები და სხ. ყეინად და „ადიუტანტად“ ირჩევენ ისეთ კაცებს, ვინც უფრო მოხერხებულია, მოსაზრებულის სიტყვის პატრონი. საზოგადოდ ყეინად და ადუტანტად ყოველთვის ერთსა და იმავეებს ირჩევენ, რადგანაც იმათს სიკეთეს ხალხი ერთხელვე დარწმუნებულია. „არაბი“, ან მასხარა, ან როგორც ხალხი ეძახის „არტისტა“ უნდა იყოს ხუმარა, ოხუნჯი მახვილ სიტყვიანი. ხაზინადრად ირჩევენ სანდო კაცს. დანარჩენი სოფლის ახალ-გაზდობა ინიშნება ჯარის კაცებად, ჟანდარმებად, პოლიციელებად, „ჩეხაუზნებად“, ე. ი. ვისაც სასმელი და საჭმელი აბარია.

დანიშნულ დღეს ხალხი შეიკრიბა ერთ დიდ ბანზედ სოფლის შუა. მოიტანეს ყეინისა და „ატუტანტის“ სამოსლები, ჯარის კაცებისთვის პაგონები. სხვა და სხვა იარაღები, ალმები. ყველა ეს ინახება ხოლმე რომელისამე მოხევის სახლში. ყეინს შავი გრძელი ხალათი ჩააცვეს, თავზედ წვეტიანი ქუდი დაჰხურეს, მხრებზედ ჯინჯილებიანი ეპოლეტები გაუკეთეს, მუცელთან ბალიში ჩაუდეს, რომ უფრო დიდი და მსუქანი გამოჩენილიყო, შევერცხლილი ხმალი ჩამოჰკიდეს და ფერადის თუნუქისაგან გაკეთებული ორდენებით ააყვავეს. აგრეთვე მოკმაზეს „ატუტანტი“, ორივე აქაურის ხელოსნისაგან გაკეთებული ვეებერთელა ყალიონები მისცეს და სტოლთან დააბრძანეს სკამზედ. იმათ გვერდით დაუსხდნენ სამი ხნიანი კაცი, ესენი შეადგენდნენ სენატს, ჯარის-კაცებმა პაგონები გაიკეთეს, ჯარის უფროსებმა პარუჩიკების ეპოლეტები; აქვე იყვნენ ექიმები წითელ ჯვრითა და პაგონებით. ესენი ჰსინჯავდნენ სასმელ და საჭმელს, რომელიც ყეენს მოერთმევოდა. როცა ყველანი გამოეწყვნენ, ამართეს ორი ალამი განგებ ამ შემთხვევისთვის მომზადებული. მოქმედება დაიწყო. სოფლის მცხოვრებლები ყეინს უგზავნიან «პატივს», ე. ი. არაყს, ხაბიზგინებს, ნაზუქებს და სხვას. ყველა ეს ჰბარდება „ჩეხაუზნს“. ალმებს რიგით ჰდარაჯობენ ჯარის კაცები, ვინიცობაა არავინ მოგვტაცოსო. ხაზინადარი ყეინს წარუდგენს მეფეების სიას, ე. ი. იმათსას, ვინც წინა ყეინობიდგან აქამდის დაქორწილდა. ყველა ამათ გადაახდევინებენ თითო მანათს. „პისერი“ სწერს უმაღლესს ბრძანებას მეფეებთან, ამა და ამ დროს ყეინის წინაშე უნდა წარსდგეთო. ამ გვარივე ბრძანება იწერება და იგზავნება ყველა წარჩინებულ კაცებთან. ესენი მოვალენი არიან გამოცხადდნენ დანიშნულ ვადაზედ თუ ვინიცობაა რომელიმე ამათგანმა ყეინის ბრძანება არ შეასრულა, იმას შებორკილებულს მოიყვანენ და სახლში „ზეკუციას“ ჩაუყენებენ, ე. ი. გაჰგზავნიან რამდენსამე კაცს ზეკუციით დასჯილის ოჯახში, დასჯილი მოვალეა გაუმასპინძლდეს გამოგზავნილებს. ზეკუციის არ მიღება სირცხვილია, პურძვირობაში ჩამოართმევენ.

იქ დამსწრე ხალხს, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა ამ საქმეში, ხაზინადარი გაუმასპინძლდა, ყველას არაყი დაალევინა და ხაბიზგინა დაურიგა. ხალხი შექეიფიანდა, გამხიარულდა: ჩააბეს ფერხისა და მშვენიერი სიმღერით უვლიდნენ. თანდათან ხალხი ჰმატულობდა. მოდიოდნენ უმაღლესის ბრძანებით დაბარებულები, ყველას ყეინის წინაშე წარადგენდნენ. „პერევოჩიკმა“ ყეინს მოახსენა, ესა და ეს დაბარებული გეახლათ, რად მიბარებდითო. „ატუტანტი“ ყეინის სახელით ყველას შესაფერ მიზეზს ეუბნება დაბარებისას დ გადაახდევინებს შეძლებისდა გვარად. სოფელში ყოველ კომლს შესაფერი გარდასახადი ეწერება, არა ნაკლებ ერთის აბაზისა. ამ დროს შემოდის ყეინთან სხვა-და-სხვა საჩივრები, ყეინი სენატს გარდასცემს გასარჩევად. სენატი მომჩივანს და მოპასუხეს პირის პირ შეჰყრის და ალაპარაკებს, დაეკითხება მოწმებს. აქ თავი იჩინა იმ სენმა, რომელიც მოხევეებს ამ ბოლოს დროს ძლიერ მოედო: ცრუ ფიცი, ტყუილი მოწმობა, დაბეზღება და სხ. დამნაშავეს სენატი სხვა-და-სხვა რიგად ჰსჯის, დანაშაულის

*) ამ წერილში აწერილია ყეინობა, რომელიც შარშან, 1897 წელს იყო გამართული დუშეთის მაზრაში.

**) ერობა ადგილია სოფელში, სადაც კვირა-უქმით ხალხი იკრიბება და ლაპარაკობენ რამე საქმესა და თავიანთ ჭირ-ბოროტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მითხრა გენერალ გონზის შესახებ, რომ იმასაც ჰსურს მოძებნა დამნაშავისაო. მე ვიცი, მითხრა მან, რომ პიკარმა მიიღო ყალბი დეპეშები, რომელსაც ქვეშ ეწერა „სპერანზა“ და „ბლანში“. მე ვიციო სთქვა, რომ 1892 წელს ახალშენელი პატი სხვებთან ერთად უცდიდა ერთ რიდე ჩამოფარებულ ქალს, რომელიც მოვიდა ღამის 10 საათზე და გადასცაო დაბეჭდილი წიგნი.

თავმჯდომარე. რა კავშირი აქვს ამ ცნობებს ესტერგაზის საქმესთან, ან საიდგან გაიგეთ ეგენი.

ლებლუა. საიდგან გავიგე, ამის თქმა არა მსურს. ეს წერილები გამოგზავნილი იყო ან სამხედრო ბიუროსაგან და ან პატის მეგობრებისაგან.

აქ უნდა დავძინოთ, რომ, ამბობენ, ვითომც ამ ქალმა გადასცა ესტერგაზის ფოტოგრაფიული სურათი იმ საბუთისა, რომელიც სამხედრო სამინისტროში იყო და რომლითაც მან თავი იმართლა.

შემოვიდა კაზიმირ პერიე (ძველი პრეზიდენტი. ხალხი დიდის ამბით მიეგება) ჩემი მოვალეობა მაიძულებს არა ვთქვა-რა დრეიფუსის საქმის შესახებ. ესტერგაზის საქმისა-კი არა ვიცი-რა.

ლაბორი და კლემანსო. რამდენჯერმე დაეკითხნენ მოწმეს დრეიფუსის საქმის გამო, მაგრამ თავმჯდომარემ არ მისცა ნება ეპასუხა მოწმეს, რადგან გარდაწყვეტილების წინააღმდეგი იქნებაო.

კაზიმირ პერიე გაბრუნდა და კვლავ დიდის ამბით გააცილეს.

შემოვიდა მოწმე გენერალი ბუადეფრი.

ლაბორი. რა საბუთი გადასცა ესტერგაზიმ სამხედრო მინისტრს?

ბუადეფრი. არა მსურს მაგის პასუხი მოგიგოთ.

ლაბორი. რა იცით თქვენ „dame voile'e“-ს შესახებ?

ბუადეფრი. არ ვიცი, ვინ არის „dame voile'e“, პირველად ეგ ამბავი ჟურნალებში წავიკითხე.

ლაბორი. რა მინდობილებით იყო გაგზავნილი პიკარი 1896 წ., ხომ არაფერი დაუშავებია სამინისტროში.

ბუადეფრი. პიკარს არაფერი დაუშავებია. რა მინდობილება ჰქონდა, მაგისას არას ვიტყვი.

ლაბორი. ჰკითხა რამე სამხედრო სასამართლომ ესტერგაზის ბორდეროს გამო, თუ არა?

ბუადეფრი. ეგ ხალხის დაუსწრებლად განსამართლების დროს იყო და ამიტომ მაგის პასუხს ვერ მოგცემთ.

ლაბორი. რა დამოკიდებულება ჰქონდა პიკარს ესტერგაზის საქმეში.

ბუადეფრი. პიკარს ეგონა, რომ ავტორი ბორდეროსი ესტერგაზიაო, მაგრამ ვერ დაამტკიცა თავისი აზრი.

შემოდის მოწმე გენერალი გონზი.

ლაბორი. რა საბუთი გადასცა ესტერგაზიმ მინისტრს? ვინ იყო dame voilée?

გონზი. მაგ საგნების შესახებ არას ვიტყვი. იმ წერილებში, რომელიც მივწერე პიკარს, ვთხოვდი ეპოვნა მეორე დამნაშავე და სულ არა მქონია სურვილი, დავბრუნებოდი დრეიფუსის საქმეს.

შემოდის გენერალი მერსიე.

ლაბორი. წაგიკითხავთ თუ არა რავარის მოხსენება ესტერგაზის საქმის შესახებ? რა არის „document liberateur“, რომელიც გადასცა ესტერგაზის „dame voile'e“-მ და რომელიც მან მინისტრს წარუდგინა? იწყება თუ არა ეს საბუთის ქაღალდი ასე „Cette canaille de D...“

მერსიე. არ ვიციო.

ლაბორი. იყო თუ არა სამხედრო სასამართლოში საიდუმლო ქაღალდი.

მერსიე. პასუხს არ მოგცემთ რადგან ეგ შეეხება დრეიფუსის საქმეს. არა მსურს დაუბრუნდე დრეიფუსის საქმეს და თუ მაინც-და მაინც დავუბრუნდით. მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ ის ნამდვილი მოღალატეა და სამართლიანად იქმნა დასჯილი.

კომანდანილოტ. ახალშენელი პიკარი 8 დღეს ინახავდა დეპეშას. პიკარმა მთხოვა, რომ დამეხედა და დავრწმუნებულიყავი, რომ იგი დახეულია და შეეხება ესტერგაზის ნაწერს. 1896 წ. მაისში გადაღებულ იქმნა ფოტოგრაფია ამ დეპეშისა.

შემოდის მოწმე გრიბელენი.

ლაბორი. გინახავთ თუ არა ლებლუა პიკართან?

გრიბელენი. ერთ საღამოს, ნოემბერს 1896 წლისას მე ვნახე საიდუმლო ბარათი და მოგზაური მტრედი ახალშენელ პიკართან. მეორე საიდუმლო ბარათი იყო ლებლუას წინაშე. სხვა დროსაც ბევრჯელ მინახავს ლებლუა. მე თვით ჩავდე მეორე საიდუმლო ბარათი კონვერტში და ხელთნაწერი ახალშენელ Henry-ს ხელსა ჰგავდა.

ამ დროს წარმოდგება ლებლუა და იტყვის, რომ ეგ ტყუილიაო. მოწმენი ერთმანეთს მიუბრუნდებიან, არა, შენა სტყუი, არა, შენაო (სიცილი გაისმის ხალხში).

თავმჯდომარე. შესწყვეტავს ბაასს და აღარ აძლევს ნებას ვექილს, მოწმეს ჰკითხოს რამე.

მოწმე ტრარიო. გენერალ გონზის წერილიდგანა სჩანს, რომ იგი სცდილობდა პიკარის საშუალებით ეპოვნა მიზეზი დრეიფუსის საქმის გადათვალიერებისა.

შემდეგ ლაბორი 10—12 ჯერ შეეკითხა მოწმეს, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ მისცა პასუხი ეგო მოწმეს, რადგან დრეიფუსის საქმეს შეეხებოდა.

მოწმე პატი-დუ-კლა. მზადა ვარ პასუხი ვუგო, რასაცა მკითხავენ, თუ იგი არ შეეხება საიდუმლოებას და არც პატიოსნებას ქალისას.

თავმჯდომარე დაეთანხმა მოწმეს. ლაბორიმ უარი განაცხადა, არაფერსა ვკითხავო.

ახალშენელი ანრი. აგვისტოსა თუ სექტემბერში პიკარმა მოსთხოვა საიდუმლო საბუთი არხივის გამგეს ლებლუას. ბევრჯელ მინახავს ლებლუა პიკართან, მაგრამ თვით მე ლებლუასთან საუბარი არა მქონია.

ამ დროს წარმოდგება ლებლუა. როგორ არა მე თქვენს კაბინეტში ვიყავი და საუბარი გვქონდა.

ანრი. თავისს დღეში არა ყოფილხართ ჩემს კაბინეთში, მეხსიერება გღალატობთ.

შეიქმნება ალიაქოთი, მაგრამ თავმჯდომარე დააჩუმებს.

შემოდის მოწმე კომანდან რავარი.

ლაბორი. თქვენს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ერთ საღამოს ახალშენელმა ანრიმ შეამჩნია ლებლუა და პიკარი, რომლებიც სინჯავდნენ ერთს საბუთის ქაღალდს და ეს ქაღალდი იწყებოდა ასეთ „cett canaille D... რა საბუთის ქაღალდი იყო იგი?

რავარი. არ ვიცი.

ლაბორი. რა ქაღალდი გაიგზავნა მინისტრთან, ვიდრე მოხსენებას მიართმევდით.

რავარი. არ ვიცი.

კლემანსო. თქვენ სწერთ მოხსენებაში, რომ იყო რაღაც საბუთიო პიკარის ბიუროში?

რავარი. დიახ, ჩემი მოხსენება ძალიან ცხადად არის დაწერილი.

გ.

(შემდეგი იქნება)

## ნაკვესი

—

— ვინ იყო, ან ეხლა „კირი ხარო!“ რომ გითხრა?

— არ ვიცი... უცნობია ვიღაცა...

— საკვირველია, აგრე ჩქარა როგორ გიცნო!

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 თებერვალი

**პარიჟი**. ზოლას საქმე. ზოლა ისე მოვიდა, რომ განსაკუთრებული არა მომხდარა-რა. სასამართლოს შენობის წინ და დერეფანში თითქმის არავინ არის, დარბაზი-კი სავსეა ხალხით. სხდომა დაიწყო $12^1/_4$ საათზედ. ლაბორიმ განაგრძო თავისი სიტყვა და სთქვა, რომ მთელს საქმის მსვლელობას რიგზედ განვიხილავო. ლაბორიმ დაიწყო იმითი, რომ 1894 წლის ოქტომბერს დრეიფუსის დაპატიმრების ამბავი ორმა გაზეთმა იცოდა — „Libre Parole“ და „Eclair“-მაო. იმან განაცხადა, რომ Libre Parole“-სთვის ქ-ნ დრეიფუსს არ შეუტყობინებია, გაზეთს ეს ამბავი სამხედრო სამინისტროს ბიუროდგან აცნობესო. ლაბორიმ ილაპარაკა იმ შეკითხების შესახებ, რომლითაც პატი-დიუ-კლამი სცდილობდა დრეიფუსის შეშინებასა, და საპატიმროს დირექტორის ფორცინეტისა, რომელსაც ის აზრი აღძრა, რომ დრეიფუსი მართალიაო (დარბაზში დრტვინვაა). თავმჯდომარემ სთხოვა საზოგადოებას წყნარად იყავითო. ლაბორიმ განაგრძო: „საიდუმლო და რომანიულის გამოძიების შემდეგ, ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგობის მიუხედავად, გადასწყვიტეს, რომ საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნას განხილულიო. ასე საიდუმლოდ განხილვას საქმისას გამამართლებელი საბუთი რომ ჰქონოდა, საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა კანონის დაცვა. კანონი არ დაიცვეს. ამის გამო ბევრმა წინააღმდეგობა განაცხადა და ამან მთლად ააღელვა ამდენი მაღალის ჭკუის პატრონი კაცი. ჩვენ სინდისიერ მოწინააღმდეგეთა ძალას ის შეადგენს, რომ ისინი დარწმუნებულნი არიანო ყველაფერი წესიერად და კანონიერად მოხდაო, თუმცა ეს ასე არ იყო (მოძრაობაა). სამხედრო სამინისტროს დრეიფუსის დაპატიმრებამდე ჯერ კიდევ რვა თვით ადრე ხელთ ეჭირა იმ საბუთის ქაღალდის ფოტოგრაფია, რომელშიაც ეწერა სიტყვები „ეს საძაგელი დ...“, და რომელიც ამტკიცებს იმას, რომ ერთს აფიცერს კავშირი ჰქონია უცხო ქვეყნის ორს სამხედრო წარმომადგენლთანაო. ეს საბუთის ქაღალდი დრეიფუსს არ შეეხება“. ლაბორიმ დაბეჯითებითა სთქვა, რომ ეს საბუთის ქაღალდი მეტად საყურადღებოა, რადგან იმაზედ ამყარებენ დრეიფუსის დანაშაულობას. ესევე საბუთის ქაღალდი სახელ-წოდებულ იმ „განმათავისუფლებელ საბუთის ქაღალდად“. ეს ქაღალდი „პირ-ბადე ჩამოფარებულმა ქალმა“ გარდასცა ესტერგაზის, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი სამხედრო მინისტრს ჩააბარა და ჩაბარების ბარათი ჩამოართვა. ილაპარაკა რა გენერალ მერსიეს შესახებ, ლაბორიმ შენიშნა: „შეიძლება მერსიე მამაცი მეომარი იყოს, მაგრამ

შესაფერად: ზოგს ჩამოარჩობას გადაუწყვიტავს, საჩრჩობელა იქვეა გამართული, მიჰყავთ დამნაშავე, გაუყრის „პალაჩი“ მხრებში თოკს და ჩამოაკონწიალებენ რამდენსამე წუთს. ზოგს სენატი „როზგებითა“ სჯის, ზოგს ფეხშიშველებს თოვლში აყენებენ: ჭირვეულებს ბოძზედ აკრავენ. ვის შეუძლიან სასჯელს გაექცეს ან რამე უწესოება ჩაიდინოს: სამოც-და-ათამდის ჯარის-კაცი, და პოლიციელები არიან, დამნაშავე ხელად გაიბაწრება და სრულდება სენატის გარდაწყვეტილება. ზოგიერთი დამნაშავე მუქარას უთვლის ყეინს, დაიცა, ჩქარა „რესპუბლიკა“ მოხდებაო.

ამ სახელმწიფოში რევოლიუციონერებიც აღმოჩნდნენ. როცა ასამართლებდნენ ხალხს, უეცრად ყეინის ფეხებთან რაღამაც იფეთქა და არე-მარე ბოლმა მოიცვა. დამნაშავენი შეიპყრეს. ყეინი სიბრაზისაგან წვერებს იგლეჯდა და იმათი დარჩობა მოინდომა. სენატი დამნაშავეებს დაეკითხა რად ჩაიდინეთ ეს ბოროტებაო? ავაზაკებმა უპასუხეს: „ჩვენ შეგვაწუხეს მოხელეებმაო, ვიჩივლეთ ყეინთან, ყეინმა ყურადღება არ მოგვაქცია, ამისათვის განვიზრახეთ მისი მოკვლაო“. სენატმა სამუდამო დატუსაღება მიუსაჯა.

ყეინმა მოინდომა ჯარის „სმოტრი“. დაუკრეს საყვირი. ჯარი ერთ ალაგას შეგროვდა და გამწკვრივდა. ყეინმა და ადიუტანტმა აუარ-ჩაუარეს ჯარს, დაეკითხნენ, ხომ ცუდად არ გექცევიან უფროსებიო, მშივრები ხომ არა ხართო. ამის შემდეგ ჯარის უფროსები სათითაოდ მოდიან გაჭიმულები „ჩესტით“ ყეინთან და მოახსენებენ ჯარის მდგომარეობას დამტვრეულის რუსულის ენით. პოლიციელები ხალხს განზედ სწევენ, „შირი“ ქენით „შირიო“, *) ჰყვირიან. ჯარიდგან გამოერჩივნენ ათი ბიჭი (ესენი ნაჯარისკაცელები არიან), დამწკრივდნენ. ერთმა მათგანმა, დაუწყო ბრძანება. რაც სალდათობაში ესწავლათ: სიარული, მიბრუნ მობრუნება, თოფის ხმარება და სროლა, ყველა ეს მშვენივრად შეასრულეს. შემდეგ გაიჭიმნენ ყეინის წინაშე. ადიუტანტმა დასძახა: „ზდაროვა ბრატცი!“ „ზდრავია ჟელაემ...“ მიაძახეს ჯარის-კაცებმა ერთ-ხმად. შემდეგ ყეინმა უთხრა „მაალაადეცი“ „რად სტარატსა ვაშე ველიჩესტვო!“ მიაძახეს ჯარის კაცებმა. ამ სანახავით ხალხი აღტაცებაში მოდიოდა. „აღდეგრძელოს ჩვენი ხელმწიფე „სალდათობა“ რომ შემოიღო: კარგათ ჰსჩვევენ (ასწავლიან) ღვთის მადლმა.“ მთელი მოქმედება სრულდება რუსულ ენაზედ, რასაკვირველია, ვინც როგორ ახერხებს.

შემდეგ იმართება თამაშობა. დაუკრეს დაირა-„გარმონი.“ დაირა-გარმონი“ ახალი მოდაა ხევში და სცვლის მამა-პაპურს ტაშ-ფანდურსა. გადმოხტა ყმაწვილი ბიჭი, გაშალა მკლავები არწივის ფრთებივით და დაუარა ლაზათიანად, ჩამოეთამაშა მაღალი წერწეტა ქალი საგულით და ვერცხლის ქამრით, მოხდენით გაშალა ხელები და დაუარა. ბიჭი უკან დაედევნა, ქალი გაექცა და მიტრიალდა, ბიჭიც მოტრიალდა და წინ დაუხვდა, ქალი საჩქაროდ ისევ მოტრიალდა, მარდათ მოტრიალებული ბიჭი ისევ წინ დაუხვდა. ქალი ისევ გაექცა ხელების შლით, ბიჭი გამოუდგა და დასჭყივლა „ევაჰაი“, თამაშობით ეშხზედ მოსული ხალხიც დასჭყივის „ევაჰაი“, გგონიათ ბიჭი აგერ აგერ წამოეწევა ქალს, მოავლებს ხელებს და გააფრენსო, ქალი გახტა შემოტრიალდა და მოხდენილად თავი დაუკრა. შემდეგ სხვები თამაშობენ. საუბედუროდ, მოხევური ლაზათიანი თამაშობა დავიწყებას ეძლევა. იმის მაგიერი შემოდის ულაზათო კინტოური ყვანყალი, ბუქნა და რუსული „კაზაჩკა“, ასე გაატარებენ პირველ დღეს. მეორე დღეც ასევეა. მხოლოდ ჯვრიან-მენდლიანები მრავლდებიან, ხელმწიფე უხვად ურიგებს თავისს ერთგულებს ორდენებს. ამ დღეს ყეინს სხვა-და-სხვა ადგილიდგან მოსდის წერილები, აქ და აქ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვაო. ესა და-ეს ხელმწიფე ომს გვიცხადებსო. მესამე დღეს სახელმწიფო დიდს მზადებაში იყო: ყეინმა მოისურვა თავისს სახელმწიფოს დათვალიერება და მახლობელ სოფლებში ხარჯის აკრეფა. შეაბეს „დროგში“ ცხენები, დააბრძანეს ზედ ყეინი ადიუტანტით, ყეინის ეტლის წინ ალამი მიჰქონდათ სამ ცხენოსანს. უკან ცხენოსანი ჯარი მოსდევდა ალამით. ჯარის უკან მიჰყვებოდა ცხენის ურმები. ამ გვარად ჩაიარეს სოფელი, სასოფლო ეკკლესიაში პარაკლისი გადიხადეს და გაუდგნენ გზას. გაიარეს ათიოდე ვერსი. ჯარი მღეროდა „სალდატუშკის“ ხმაზედ, თან თოფებს სცლიდნენ. მეოთხე დღეს ხალხს ყეინობა ჰბეზრდება. თავ-დაუჭერლად ჰლოთობს, არეულობა და უწესოება ჰმატულობს, საღამოს ჟამს ყეინობა გათავდება, ხალხი წავა წამოვა და თავისს სახლებში დაიწყებენ სმას. ყეინობაში ხალხის უმთავრესი გამრთობი და გამამხიარულებელი არაბია. შავი გრძელი ხალათი აცვია, წელზედ ძველის-ძველი დაჟანგებული ხანჯალი აკრავს, ხელში შუბი უჭირავს, თავზედ ჩაჩი ჰხურავს. არაბად წრეულს სწორეთ შესაფერი კაცი ამოირჩიეს. მართლა, რომ ღირსი იყო არტისტის სახელისა. ყოველივე მისი მოძრაობა და მარილიანი ხუმრობა უნებლიედ სიცილს იწვევდა ხალხში.

ყოველი მოქმედი ასეთის სინამდვილით ასრულებდა როლს, თითქოს სცენაზედ გამოსულიყოს ხალხის წინაშე სათამაშოთაო.

ყეინობაში სენატს დიდი უფლებანი აქვს: ხელმწიფეს მხოლოდ პირველად მოჰხსენდება—გარჩევა-კი რაიმე საქმისა სენატისაგან არის დამოკიდებული. ხარჯის გაწერა, დასჯა ვისიმე და სხ. სენატი სწყვეტავს. ასეთია ჩვენებური ყეინობა. წრეულს შემოსავალი შვიდი თუმანი და ხუთი მანათი შეუდგათ. ამ ფულიდგან ხარჯის გასტუმრების შემდეგ დარჩათ 18 მან. ეს ფულიც ისევ სასმელში იხარჯება.

გ. ნ.

*) „შირი“ რუსულია, ვითომ განზედ გაიწიეთო.

ასეთ რთულ საქმეებს შეჩვეული არ არის. სხვაფრივ როგორ უნდა ავხსნათ ის, რაც დრეიფუსს დააწერინეს. მერსიემ თავისის სურვილისამებრ წარუდგენელის გეშების მაგიერობა გასწია და ასეთის საშუალებით დასაჯეს მართალი კაცი. ლაბორიმ სთქვა, რატომ დრეიფუსსა და იმის დამცველს არა უთხრეს-რა იმ საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელშიაც მოხსენებულია სიტყვები „ეს საძაგელი დ." ჩვენ შეგვეძლო უცხო ქვეყნელნი დაგვებარებინა იმის განსახილველად, თუ რამდენად ნამდვილია ეს საბუთის ქაღალდი... (მოძრაობაა). თავმჯდომარემ შენიშნა: „ჩვენ იმათ არას ვკითხავდითო". ლაბორიმ მიუგო: „ჩვენ არ მოვიწვიეთ ისინი იმიტომ, რომ გვინდოდა ფრანგთა შორის განხილულიყო ის საქმე, რომელიც მხოლოდ ფრანგებისთვის არის საინტერესო. რა აზრსაც უნდა დაადგეს კაცი ამ საქმის შესახებ, განსაცდელის დღეს ყველანი უცხო ქვეყნელთა წინააღმდეგ წავალთ". (ტაშის ცემაა). შემდეგ დაუბრუნდა რა იმ კარნახობის ამბავს, ლაბორიმ სთქვა: „ეს დევნის უაზრობას ამტკიცებს, რადგანაც თუ დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები იყო, საჭირო აღარ იყო ასეთს საშუალებას გამოსდგომოდნენ, რადგანაც მხოლოდ საქმის გარჩევის დასაწყისში წარმოადგინეს ბორდერო, მოსამართლენი ბრალდებულს გაამართლებდნენ, ყოველისავე კანონის წინააღმდეგ იმათი განაჩენი რომ არ დამახინჯებულიყო ისეთის საბუთის ქაღალდის გამოაშკარავებით, რომელიც არც საქმეში ყოფილა ჩართული და არც განხილული. ლაბორიმ წაიკითხა შემდეგ ანგარიში სამხედრო სასამართლოში დრეიფუსის საქმის წარმოებისა და დაუმატა: „მე ხელთა მაქვს საბუთის ქაღალდები ამ საქმის შესახებ. მე ვამოწმებ, რომ იმათში დრეიფუსის წინააღმდეგ არაფერი ყოფილა-რა,— ვამოწმებ ამას ჩემის პატიოსნებით, ბატონებო, და [illegible], რომ არავითარი გეში არ მომიჩენიათ იმის წინააღმდეგ, ვინც დასაჯეს". (ხანგრძლივი მოძრაობაა. აქა-იქ უწონებენ ამ ნათქვამს). ცოტას ხნით სხდომა შეაჩერეს.

სხდომის განახლებისას, ლაბორიმ ილაპარაკა კაპიტან ლებრენ-რენოს შესახებ, რომელსაც „ვითომდა გამოუტყდა დრეიფუსი დასჯის შემდეგ. თუ არსებობს კიდეც ამისი ოქმი, ეს აღიარება დანაშაულისა,— სთქვა ლაბორიმ,— შემდეგ მოხდა, იგი მოწმების მიერ უნდა იყოს დასაბუთებული". ლაბორიმ გაიხსენა მელინის განცხადება კავენიაკის შეკითხვის დროს. მელინმა სთქვა მაშინ, რომ ამ მოხსენების არსებობის განხილვა საქმის ხელ-ახლად გადასინჯვის დაწყებასა ჰნიშნავსო. ლაბორიმ დაუმატა: „თუ ოქმი არ შეადგინეს, მაშასადამე, ის ამბავი, რომ ვითომ დრეიფუსს დანაშაული აღეარებინოს, შეუძლებელი ამბავია, სიმართლის ნიშან-წყალი არ ატყვიაო". შემდეგ ლაბორიმ ძლიერის სიტყვით აღწერა დრეიფუსის ღირსების აყრის ტრაგიკული სცენა და დაუმატა, რომ იმ დროს, როდესაც შეუწყალებელი ბრბო ჰყვიროდა: „სიკვდილი დრეიფუსსაო", თვით დრეიფუსი განუწყვეტლივ გაიძახოდა: „გაუმარჯოს საფრანგეთსაო"! და ცოლ-შვილს იფიცავდა, რომ უდანაშაულო ვარო. „დრეიფუსი მხოლოდ ერთს მოწყალებასა თხოულობდა, რომ სამინისტრომ განაგრძოს ჩხრეკა და გამოძიება ჩემის საქმისაო". (მოძრაობაა). ლაბორიმ წაიკითხა დრეიფუსის მიერ ვექილთანა და თავისს სახლობასთან მიწერილი მრავალი წერილი, რომლებშიაც ის ერთსა და იმასვე თხოულობს, ნამდვილი დამნაშავე იპოვნეთო. ლაბორიმ დაუმატა: „თუ მელინმა არ გამოაჩინა ლებრენ-რენოს მოხსენება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მელინი აიძულა სხვათა დაბეჯითებულმა ძახილმა,— დრეიფუსი უდანაშაულოაო, და ამის გამო იმისმა იურიდიულმა სინიდისმა ერთს წამს დასჩრდილა მისი სახელმწიფო მოსაზრებანი". (ხანგრძლივი მოძრაობაა) ლაბორიმ განაგრძო: „დრეიფუსის მიერ დანაშაულის აღიარების საბუთის მოსაპოვებლად სიყალბეც-კი ჩაიდინეს. განა პატი-დიუ-კლამმა არ უთხრა დრეიფუსს: „მინისტრი გინახულებთ, თუ დანაშაულის აღიარებას აპირებთო". აგებულ იქმნა მთელი შენობა სიცრუისა და პირმოთნეობისა თანაშემწეთა და პირმოთნეობისავე შენობა ძლიერთათვის, რომელნიც გაცილებით უფრო დიდად დამნაშავენი არიან, ვიდრე პირველნი, დეე იცოდნენ, დეე გაიგონონ ჩემი სიტყვები და გაიხსენონ, რომ ისტორიაში პონტის პილატის სახელზედ უფრო სამარცხვინო, უფრო დამამცირებელი სახელი მეორე არ მოიძებნება,— დეე გაიხსენონ ეს!.." (ამ სიტყვებს დიდის ტაშის ცემით მიეგებნენ) სხდომა შესწყვიტეს. კამათის გაგძელება ხვალისთვის გადაიდო.

12 თებერვალი.

**პეტერბურგი.** მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტაინი სოვეტნიკი ბოგოლეპოვი დანიშნულ იქმნა საერო განათლების სამინისტროს მმართველად.

პეტერბურგის ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა გრაფი მუსინ-პუშკინი.

11 თებერვალს, 4½ საათზედ გარდაიცვალა მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტი სერგი.

**პარიჟი,** ზოლა ისე მოვიდა სასამართლოში, რომ გზაში არაფერი შეჰხვედრია. კრება დაიწყო 12½ საათზედ. დიდ ძალი ხალხია შეკრებილი. ხალხი მეტად აღელვებულია, საზარელი ხმაურობაა. როდესაც სიმშვიდე ჩამოვარდა, ლაბორიმ განაგრძო თვისი სიტყვა. „მე გსცილობდით, სთქვა მან, მომეშორებინა [illegible] მოცული გარემოებანი, რომელიც ამ საქმეს ზედ დაერთო; მე მსურდა მეჩვენებინა თქვენთვის სიყალბე ამ საქმისა, [illegible] შეძლება დაგეფასებინათ აქ გაგონილი ჩვენებანი მოწმეთა. იმ საბუთის ქაღალდებს, რომელთა შესახებ ილაპარაკა პელიემ, არ უნდა მიეცეს იმაზე მეტი მნიშვნელობა, რაც იმათა აქვთ. პელიე ამტკიცებს, რომ სინათლით მოვფენ იმ საბუთის ქაღალდს, რომელშიაც ნათქვამია: განსაკუთრებით ნუ იტყვით, რომ ჩვენ მიწერ-მოწერა ან სხვა რამ კავშირი გვქონდა იმ ურიასთან. ეს შემთხვევა ყველაზედ უფრო სამწუხარო შემთხვევაა, რომელიც ამ საქმის გარჩევის დროს მოხდა, იმიტომ რომ ამ ზნეობრივის დამტკიცებით უნდოდათ სრულიად შეეცვალათ ნამდვილი ხასიათი საქმის გარჩევისა. დაიწყეს ლაპარაკი, რომ დამცველთა საქმე წაგებულია, რომ იგი სუსტდება. ჩვენ კი, პირიქით, იმ აზრისანი ვართ, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანოთ". ლაბორი ამტკიცებს, რომ ნოტაში სწერია „ამ ურიაობასთან და არა ამ „ურიასთან". ვექილი იმ აზრისაა, რომ ბარათი მოტანილია უმნიშვნელო აგენტის მიერ, რომელსაც მიანდვეს ჯაშუშობა და რომელმაც როგორღაც იშოვნა ვინაოპის ბარათი ერთის საელჩოს წევრისა დ ყოველივე ეს გაუგზავნა სამხედრო სამინისტროს. ლაბორიმ სთქვა, მთავარ შტაბის გულ-მართლობა მრწამს, მაგრამ იმასა ვთხოვ— განაგრძოს საქმის გარჩევა, რათა ამით გამოიკვლიოს, ყალბი ხომ არ არის ეს საბუთის ქაღალდი. იმ საბუთის ქაღალდს, რომელზედაც ეხლა ლაპარაკია, საქმის დამტკიცების მნიშვნელობა რომ ჰქონიყო, პიკარს წარუდგენდნენ, რომ მას აღარ განეგრძო საქმის გამოძიება. რაც შეეხება პელიეს, მისი პატიოსნება მოტყუებულ იქმნა. თუ მთავრობის წარმომადგენლებმა ეს საბუთის ქაღალდი სხვა ადგილას არ წარადგინეს, ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ომი ასტყდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ასეთის ქცევისათვის სასაცილოდ აიგდებდნენ. (ხმაურობაა). ლაბორი შეუდგა ბორდეროს შესახებ ლაპარაკს. სთქვა არ ვიცით, როგორ გაჩნდა ეს ბორდერო და ამტკიცებს, რომ ბორდეროს ხელი ესტერგაზისა არისო. ვექილი უარსა ჰყოფს, რომ ბორდეროს დრეიფუსის დეკალკაცია ჰქონდეს, იმიტომ რომ, თუ ასე მოქცეულიყო, იმ წამსვე ეჭვს ესტერგაზიზე აიღებდნენ. შემდეგ ლაბორიმ განიხილა მოხსენება ექსპერტებისა, ჩამოსთვალა რამდენიმე მაგალითი შეცდომისა და ამტკიცებდა, ეხლა უკვე გამოირკვა, რომ სამხედრო სასამართლოს გადაეცა ერთი ან რამდენიმე საიდუმლო საბუთის ქაღალდიო. შემდეგ ლაბორიმ მოაგონა სასამართლოს, რომ თუმცა ქორესმა ითხოვა დრეიფუსის საქმის ხელ-მეორედ გარჩევა, მაგრამ მელინი ამაზედ არ დასთანხმდა და აქედგან მტკიცდება, რომ მთავრობას რაღაცის დამალვა უნდოდა (ხმაურობაა) მერსიემ უარი სთქვა-არაფერს ვიტყვი საიდუმლო საბუთის ქაღალდზეო; ეს გამოტეხა არის, ნამდვილი დამტკიცებაა. მერსიემ კანონს გადუხვია და ძალა დაატანა მსაჯულთ გასამტყუნებელი განაჩენი დაედგინათ. ლაბორიმ სთქვა: „მე მგონია, როდესაც ერი შეიგნებს ამ საქმის დიდს მნიშვნელობას, აღელდება და უკვდავის პატიოსნებისა და ჭეშმარიტებისათვის განაცხადებს წინააღმდეგობას. ზოლაც სწორედ ასე მოიქცა". ლაბორიმ ილაპარაკა დრეიფუსის ოჯახობის მწუხარების შესახებ, წაიკითხა დრეიფუსის წერილი, რომელიც 1897 წელს არის დაწერილი და რომლითაც დრეიფუსი აცხადებს, დამნაშავე არა ვარ და იმედი მაქვს, რომ გამამართლებენ. (ხალხი აღელვებულია; რამდენიმე დიდაკაცი სტირის). ლაბორიმ სიტყვა განაგრძო. უარსა ჰყოფს, ტყუილია ის ხმები, ვითომ დრეიფუსმა ცილი დასწამა აფიცრებს, რომელნიც უცხოეთში მსახურობენ, სახელდობრ დეგუის. დეგუიმ სთქვა, მე არა მჯერა, რომ დრეიფუსმა ვისმე ცილი დასწამაო. (ხანგრძლივი ხმაურობაა). მერე ლაბორიმ პიკარის შესახებ ილაპარაკა და სხვათა შორის, სთქვა—პიკარი აქედგან გავა არა თუ გამართლებული, არამედ სახელ განთქმულიც". (ხანგრძლივი ხმაურობაა). ვექილმა ილაპარაკა ერთის საბუთის აღმოჩენის შესახებ, რომლითაც ნათლად დამტკიცდა, რომ ესტერგაზის მიწერ-მოწერა ჰქონდა ერთს საელჩოსთან და რომელსაც პიკარმა ყურადღება მიაქცია. კრება შესწყდა. კრების განახლების დროს დარბაზი სავსეა. ლაბორი ამართლებს პიკარს, რომლის ბრძანებითაც გასჩხრიკეს ესტერგაზის სახლი და მოაგონებს მსაჯულთ, რომ ესტერგაზიმ უარი უთხრა სასამართლოს ჩვენების ჩამორთმევაზე. ლაბორიმ განაცხადა, რომ პიკარს, რომელმაც ლაუტს უთხრა ფოსტის ბეჭედი დავასვათ ესტერგაზის გამამტყუნებელ საბუთსაო, სრულიად ფიქრად არა ჰქონია სიყალბის ჩადენა დ მხოლოდ ჰსურდა ამ ქაღალდისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა. (დიდი აღელვებაა. თავმჯდომარე ემუქრება დამსწრეთ, დარბაზიდგან გაგიყვანთო).

ლაბორიმ დაუმატა: „გენერალ გონზის მიწერ-მოწერა ჰმოწმობს, რომ პიკარი თავისის უფროსების თანახმად მოქმედებდა. თუ რომ დრეიფუსის დანაშაულობის საბუთები ყოფილიყო, მაშინ გონზი უბრძანებდა პიკარს წყნარად იყავიო (ხმაურობაა). აღელვება იმ შიშას გამო მოხდა, რომ კასტელენის შეკითხვამ ქვეყანა არ შეაშინოსო. მთავრობა ცუდად მოიქცა, რომ თვით არ იკისრა დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვის მეთაურობა. მას უნდა ან უარ ეყო საიდუმლო საბუთის ქაღალდის შეტყობინება, ან უნდა გულ ახდით გამოტეხილიყო, მაგრამ ამისათვის ვაჟ-კაცობა არ შესწევდა,— მთავრობამ პოლიტიკა ამჯობინა: „მე ხელი დამიბანიაო". მაშინ პიკარი საჭირო აღარ იყო და ტუნისში გაგზავნეს: პიკარს უფრო შორს გაგზავნიდნენ, თითქმის ტრიპოლის საზღვრამდე, რომ საქმეში გენერალი ლეკლერკი არ გარეულიყო". (მოძრაობაა). შეაქო რა შერერ-კესტნერი, ლაბორი დრეიფუსს დაუბრუნდა დ სთქვა, რომ დრეიფუსის საგენერალო შტაბში განწესებას ცუდის თვალით შეჰხვდეს მათ, ვისაც ურიები სძულთო. ლაბორიმ ილაპარაკა იარაღის საგიდრავლიკო ტორმოზის შესახებ, რომელიც ჯერ ისევ 1882 წელს იყო ცნობილი და, მაშასადამე, იმის შესახებ დრეიფუსს არაფრის გამოქვეყნება არ შეეძლო. მთავარ ვექილმა გააწყვეტინა დამცველს და შენიშნა, რომ ეგ საქმეს არ შეეხებაო. ლაბორიმ დიდი წინააღმდეგობა განაცხადა და სთქვა, რომ ყველა არტილერიის აფიცრებმა იცოდნენ სახელმძღვანელო სროლის შესახებ და ამიტომ ამ სახელმძღვანელოს გაცნობა ქვეითა ჯარის აფიცერსაც შეეძლო. „დანაშაულობის დაუმტკიცებლად დააპატიმრეს მართალი კაცი, რომელიც თუმცა ებრაელია, მაგრამ ბედნიერად სთვლიდა თავს იმის გამო, რომ საფრანგეთს ემსახურებოდა. ბორდერო დრეიფუსს არ შეუდგენია, რადგანაც გამოჩენილ კაცთ, რომელთ ჩვენებაც აქ მოისმინეთ, განაცხადეს, რომ ბორდერო ესტერგაზის ხელით არის დაწერილიო". ლაბორიმ დიდ ხანს ილაპარაკა ექსპერტების მოხსენებათა შესახებ და ნაფიც მსაჯულთ ესტერგაზის წერილები აჩვენა. დამცველმა გაიხსენა რა ესტერგაზის ვალები და საეჭვო ყოფაქცევა, სთქვა, ვის შეუძლიან მფარველობა გაუწიოს ასეთ კაცსაო". შემდეგ ლაბორიმ მოიგონა მაიორ პოფფენდე-მორელის როშფორთან გაგზავნის ამბავი და დაუმატა: „მეტად სასაცილო იგავ-არაკსა ჰგავს ეს ამბავი, სადაც ნათქვამია, რომ არსებობს მთელი მიწერ მოწერა გერმანიის იმპერატორსა და დრეიფუსს შორისაო. ეს ამბავი კაცს სიცილსა ჰგვრისო". ვერავითარ მართ-მსაჯულებას ვერ ველირსეთ,— განაგრძო ლაბორიმ,— სამხედრო სასამართლოსაგან, რომელმაც ესტერგაზის საქმე გაარჩიაო. „მაშინ წამოდგა მხოლოდ ერთი კაცი, ზოლა. მას მთელი თავისი მხნეობა დასჭირდა, რომ ასე მოქცეულიყო. ზოლამ წინააღმდეგობა განაცხადა იმიტომ, რომ მთავრობა სცდილობდა ნათელის ჩაქრობას. ნუ ამბობთ, ბატონნო მსაჯულნო, რომ საქმე ჯარის პატიოსნებას შეეხებოდა. თქვენ გაგონებდნენ ომის მოახლოვებას, მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია. თქვენ ნურაფერს შეუშინდებით, რადგანაც ჩვენში კიდევ მოიპოვება ზნეობრივი ენერგია. დასასრულ ლაბორიმ სთქვა: „იმარჯვებს მხოლოდ პატიოსანი გული კაცისა. გაიმსჭვალეთ იმ აზრით რომ ზოლა წარმომადგენელია საფრანგეთის პატიოსნებისა. თქვენმა განაჩენმა სამი საგანი უნდა აღნიშნოს: „გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს საფრანგეთს!" და განაცხადოს: „გაუმარჯოს სამართალს, გაუმარჯოს უკვდავ იდეალს!" (ტაშის ცემა და სტვენა. აქა-იქ ყვირილიც გაისმის: „გაუმარჯოს ჯარს! შორს ჩვენგან ურიებიო!".

შემდეგ ილაპარაკა დეპუტატად ნამყოფმა კლემანსომ. დამცველმა განაცხადა, რომ მსურს ჩემი სიტყვები ლაბორისა და ზოლას სიტყვას მიუმატო, სიმართლისა და ჭეშმარიტების ძალით დრეიფუსის საქმე ხელ-ახლა უნდა იქმნას განხილული, რადგანაც წინანდელი განაჩენი უკანონო იყო (ხმაურობა) „როცა ერთ კაცს უბედურება რამ მოუხდეს, იგი მალე ერს დაატყდებაო".

კამათი დასრულდა. 6 საათსა და 30 წ. სასამართლოს წევრნი სათათბიროდ გავიდნენ.

**პარიჟი** ზოლა გაამტყუნეს.

**პარიჟი** ზოლას საქმე. კლემანსომ სთქვა, ებრაელთა ბრალდების შესახებ პოლკოვნიკ სანდჰერის მიერ, გაიხსენა ლალინსის ჩვენება, შემდეგ ესტერგაზის წინააღმდეგ ილაპარაკა. კლემანსომ განაცხადა., რომ დიდად პატივსა ვცემ ჯარს, მაგრამ ვამჩნევ, რომ თვით ჯარის შორის აღმოჩნდა კაცი სახელდობრ პიკარი, რომელმაც ეჭვის თვალით შეხედა დრეიფუსის დანაშაულობასაო. კლემანსომ სთქვა: „ზოლას გამართლება დიადი საქმე იქნება და ბრძანება დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად განხილვისა. ხოლო მისი გამტყუნება იქნება დამყარება ბოროტებისა, რომლისაგანაც ჩვენ ყველანი ვიტანჯებით. ნაფიცნი მსაჯულნი მოვალენი არიან თავიდგან აგვაცილონ სარწმუნოების სხვა და სხვაობით გამოწვეული ომი". (ტაშის ცემა, დრტვინვა).

მთავარ ვექილმა უპასუხა, ზოლამ ცილის წამება იკადრა, როდესაც სთქვა, რომ ნაფიც მსაჯულთ ბრძანება აქვთ მიცემული გაამტყუნონ იგი. „იმ შეურაცხების შემდეგ, რომელიც აქ ჯარს მიაყენეს, ვექილები იძულებულნი არიან ქება დიდებით მოიხსენიონ ჯარი, რომ მათი მოქმედენა მოსათმენი შეიქმნეს!" (ტაშის ცემა. ხმაურობა, სხვა და სხვა ყვირილი. ლაბორი წამოდგება, ხალხი ჰყვირის „კმარა!" (ლაბორი წინააღმდეგობას უცხადებს ვანკასელს, რომელიც „ისე ექცევა მას, როგორც ჯარის შეურაცხებელს" და ამბობს: „შეუძლებელია ზოლას გამტყუნება: მას უნდოდა მხოლოდ ბრძოლა სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის!" (ხანგრლივი ხმაურობაა) მსაჯულნი სათათბიროდ გავიდნენ. ხალხი მეტად აღელდა. 7 საათზედ რომ განაჩენი წაიკითხეს, გაისმა ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს! შორს ჩვენგან ზოლა!" ხალხი ძლიერ აღელდა. გენერლები რომ გამოდიოდნენ, ამ ყვირილმა ერთი ორად იმატა. ზოლა გამოვიდა სასამართლოდგან 7 საათსა და 50 წუთზე. გაისმა ყვირილი, მაგრამ პოლიციელებმა ზოლას ეტლი დაიფარეს. სასამართლოს დარბაზში ხალხი განაჩენს ტაშის ცემით მიეგება. ზოლამ წამოიძახა: ეგ „კაცის მჭამლები ყოფილან!" ბევრმა შენიშნა, რომ სასამართლომ უდიდესი სასჯელი მიუსაჯა ზოლას. კრების შემდეგ რამდენიმე მანიფესტაცია მოხდა.

**პარიჟი.** ზოლას მიუსაჯეს ერთის წლით ციხეში დაპატიმრება და 3000 ფრანკი ჯარიმა. (ხანგრძლივი ტაშის ცემა). „Aurore"-ის რედაქტორს გადუწყვიტეს ციხეში დაპატიმრება 4 თვით და 3000 ფრანკი ჯარიმა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Февраля 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.